გენოციდის გამიჯვნა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისგან

კონსტანტინე დოხნაძე
სტუ-ს დოქტორანტი

გენოციდის დანაშაულს განსაკუთრებით მსგავსი ნიშნები აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, რომელიც ჩადენილია რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). როგორც მკვლელობა, ასევე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება შედის გენოციდის დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში, თუმცა არსებითად განსხვავდება ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისგან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი დანაშაულებები ხელყოფენ სხვადასხვა ობიექტს. მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების გვარეობითი ობიექტია ადამიანი, ანუ მისი სოციალური და ბიოლოგიური თვისებებისა და ნიშნების ერთობლიობა. მკვლელობის სახეობითი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, ხოლო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების - ადამიანის ჯანმრთელობა. სიცოცხლე და ჯანმრთელობა განიხილება როგორც ბიოლოგიური ნიშნები. ადამიანის სიცოცხლე ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობაა, რომელიც ადამიანს ბუნებასა და საზოგადოებაში არსებობის შესაძლებლობას აძლევს[1]. ჯანმრთელობაში იგულისხმება ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც მას ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, მკვლელობის უშუალო ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, ხოლო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების – ადამიანის ჯანმრთელობა.

მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისგან განსხვავებით, გენოციდი ხელყოფს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის არსებობის უსაფრთხო პირობებს. გენოციდის ჩადენისას დამნაშავეს აინტერესებს არა ცალკეული ადამიანი, არამედ – ადამიანის მოსახლეობის განსაზღვრული დემოგრაფიული ჯგუფისადმი კუთვნილება, რადგანაც პიროვნების უფლებები ირღვევა არა მისი ქცევის ან მასთან დამნაშავის დამოკიდებულების გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის წევრს. ცალკეული დემოგრაფიული ჯგუფის ცალკეულ წარმომადგენელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობები შეიძლება განვიხილოთ გენოციდის დამატებითი ობიექტის სახით.

საქართველოს სსკ-ის 407-ე, 109-ე და 117-ე მუხლები სხვადასხვაგვარად აღწერს აღნიშნულ დანაშაულებებში დაზარალებულთა წრეს. გენოციდი, მკვლელობისა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან განსხვავებით, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფების წევრთა გარდა დაზარალებულთა წრეში რთავს რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 109-ე და 117-ე მუხლებისგან განსხვავებით, გენოციდის ობიექტური შემადგენლობა, მკვლელობისა და ჯანმრთელობის დაზიანების გარდა, მოიცავს კიდევ სამ ალტერნატიულ ქმედებას.

განსხვავებულია განსახილველი დანაშაულების კონსტრუქციული შემადგენლობაც. მკვლელობა, ისევე როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, წარმოადგენს მატერიალური შემადგენლობის დანაშაულს და დამთავრებულად ითვლება კანონით გათვალისწინებული შედეგის დადგომის მომენტიდან. შესაბამისად, მკვლელობა დამთავრებულად ითვლება დაზარალებულის სიკვდილის მომენტიდან, ხოლო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება – დაზარალებულისთვის ასეთი ზიანის მიყენების მომენტიდან. აღნიშნული დანაშაულებებისგან განსხვავებით, გენოციდი შეკვეცილი შემადგენლობის დანაშაულია, მისი დამთავრების მომენტი გადატანილია ადრეულ სტადიაზე, იგი დამთავრებულად ითვლება ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენის მომენტიდან, რომელიც მიმართუ-

[1] Кадников Н.В. Уголовное право. Общая и особенная части. – Издательство: Городец, 2006. ст. 369.

ლია დემოგრაფიული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობისკენ. გენოციდის დამთავრებულად ცნობისთვის არ არის აუცილებელი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის ფაქტობრივი მოსპობა, თუმცა გენოციდის ფარგლებში მკვლელობის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შემთხვევაში, ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება თუნდაც ერთი დაზარალებულის სიკვდილის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მომენტიდან.

განსახილველ დანაშაულთა სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებთან მიმართებით არსებობს შემდეგი განსხვავება: ვინაიდან გენოციდს ახასიათებს სპეციალური მიზანი, მისი სუბიექტური შემადგენლობა ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, მაშინ როდესაც, მკვლელობა, ისევე როგორც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით.

ძირითად ნიშანს, რომელიც განასხვავებს განსახილველ დანაშაულებს ერთმანეთისგან, წარმოადგენს გენოციდის ჩადენის მიზანი – ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრი მოსპობა.

სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ისევე როგორც სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მოტივია რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური სიძულვილი. გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში მოტივი სავალდებულო ნიშანს არ წარმოადგენს. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით მკვლელობას საფუძვლად უდევს სხვა რასის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლისადმი რიგორიზმის (შეუწყნარებლობის) მაღალი ხარისხი[2]. ასეთი მკვლელობის მოტივები ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე ყალიბდება. დამნაშავე, ერთი მხრივ, დაზარალებულს ამა თუ იმ რასის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის კუთვნილების გამო არასრულფასოვნად მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი რასის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის განსაკუთრებულობას (უპირატესობას) აღიარებს.[3] ტ. კონდრაშოვას აზრით, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო მკვლელობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევებში, თუ იგი ჩადენილია: ა) მტრობის ან შუღლის პროვოცირების მიზნით; ბ) სხვა რასის, ეროვნების ან კონფესიის პირთა მიმართ მტრობის, სიძულვილის გამო; გ) სარწმუნოების შეცვლის გამო შურისძიების მიზნით.[4] ამ შემთხვევაში, როგორც წესი, არ ხდება დაზარალებულის პერსონიფიცირება: ის შეიძლება იყოს ნებისმიერი, თუნდაც დამნაშავისთვის სრულიად უცნობი ადამიანი. მთავარია დამნაშავე ახდენდეს მის იდენტიფიცირებას, რომ იგი „უცხოა“ და მტრულად დამოკიდებული მისი გვარის ან კლანისთვის.[5] ასეთი მკვლელობები შეიძლება გვევლინებოდეს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტის ფორმად. ამასთან, მკვლელობის ან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დროს დამნაშავე არ მიისწრაფის დემოგრაფიული ჯგუფის მთლიანად მოსპობისკენ. მისი მოქმედებები არ წარმოადგენს დემოგრაფიული ჯგუფის მოსპობის გეგმის შემადგენელ ნაწილს და ისინი ქცევის ერთჯერადი აქტის სახით ხორციელდება. ჰიპოთეზურად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო ჩადენილი მკვლელობა, თავისი მასშტაბური ფორმებიდან გამომდინარე, გადაიზრდება „ქმედებაში, რომელიც მიმართულია ეროვნული, ეთნიკური რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობისკენ, რაც გამოიხატება ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობაში“, ე.ი. გენოციდში.[6] ასეთი ქმედებები დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლით. როგორც ცალკეული ავტორები აღნიშ-

[2] Коровеев А.И. Убийство по мотивам политической, идеологической, расовой, национальной или религиозной ненависти или вражды либо по мотивам ненависти или вражды в отношении какой-либо социапьной группы (п. `л~ ч.2 ст. 105 УК РФ) // Уголовное право: стратегия развития в XXI веке: материалы Шестой Международной научно-практической конференции 29-30 января 2009 г. – М.: Проспект, 2009. ст. 303.

[3] Андреева Л.А. Квалификация убийств, совершенных при отягчающих обстоятельствах. – СПб., 1998. gv. 40.

[4] Кондрашова Т.В. Проблемы уголовной ответственности за преступления против жизни, здоровья, половой свободы и половой неприкосновенности. – Екатеринбург, 2000. ст. 127.

[5] Постатейный комментарий к Уголовному кодексу Российской Федераций / Под ред. А.И. Чучаева, - М: ИНФРА-М: КОНТРАКТ, 2004, ст. 256.

[6] Коровеев А.И. Убийство по мотивам политической, идеологической, расовой, национальной или религиозной ненависти или вражды либо по мотивам ненависти или вражды в отношении какой-либо социапьной группы (п. `л~ ч.2 ст. 105 УК РФ) // Уголовное право: стратегия развития в XXI веке: материалы Шестой Международной научно-практической конференции 29-30 января 2009 г. – М.: Проспект, 2009. ст. 303-304.

ნავენ, მკვლელობის ან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დროს დაზარალებული შეიძლება იყოს იმავე ეროვნების თუ რასის წარმომადგენელი, რომელსაც დამნაშავე განეკუთვნება. თუ დაზარალებული უარს აცხადებს მხარი დაუჭიროს უპირატესობისა და განსაკუთრებულობის ნაციონალისტურ იდეას, ამ შემთხვევაში შესაძლებელია დამნაშავე მოქმედებდეს შურისძიების მოტივით. გენოციდისთვის ასეთი მოტივი არ არის დამახასიათებელი. ამ დანაშაულის ჩადენა ხდება არა რომელიმე ქმედებისთვის შურისძიების გამო, არამედ დამნაშავის მისწრაფებიდან გამომდინარე, მთლიანად მოსპოს რომელიმე დემოგრაფიული ჯგუფი ან მისი გარკვეული ნაწილი.

ჩვენი აზრით, გენოციდის დანაშაულთან გარკვეული მსგავსება აქვს საქართველოს სსკ-ის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) და 143[2] (არასრულწლოვანით ვაჭრობა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

გენოციდის ობიექტური შემადგენლობის კომპონენტს წარმოადგენს ბავშვის იძულებით გადაცემა ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში, რომელიც, თავის მხრივ, შემადგენლების სახით შეიძლება თავის თავში მოიცავდეს თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და არასრულწლოვანით ვაჭრობას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 407-ე, 143-ე და 143[2] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები ხელყოფენ სხვადასხვა ობიექტს. თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გვარეობითი ობიექტია ადამიანის თავისუფლება, მისი პატივი და ღირსება. ამასთან, თავისუფლების უკანონო აღკვეთის უშუალო ობიექტია ადამიანის ხელშეუხებლობა და ნებისმიერი მიმართულებით მისი თავისუფალი გადაადგილების უფლება[7], ხოლო არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) უშუალო ობიექტია არასრულწლოვანის თავისუფლება, მისი უფლება იზრდებოდეს მშობლებთან, აგრეთვე, მისი პატივი და ღირსება[8]. გენოციდის დანაშაულის ობიექტი ჩვენ მიერ განხილულია ნაშრომის წინამდებარე თავში.

ამრიგად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ხორციელდება კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებით, რაც განასხვავებს მას გენოციდისაგან, სადაც ამგვარი ქმედებები ხორციელდება ქცევის განსაზღვრული მიმართულების ფარგლებში მოსახლეობის დემოგრაფიული ჯგუფების მოსპობის მიზნით.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა და არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ხორციელდება დაზარალებულის მიმართ მისთვის დამახასიათებელი რაიმე ნიშნების გათვალისწინების გარეშე. ამ შემთხვევებში დაზარალებული შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, განურჩევლად სქესისა, ეროვნული კუთვნილებისა, ჯანმრთელობის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობისა, მაშინ, როდესაც გენოციდი დაზარალებულის სახით ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრებს ითვალისწინებს.

არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ობიექტური შემადგენლობა მოიცავს არასრულწლოვანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე, მის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ანდა მიღებას. არასრულწლოვანის ყიდვა გულისხმობს მის შეძენას ფულის გადახდით, რაიმე ნივთში გაცვლით (უძრავი და მოძრავი ქონება, კვების პროდუქტები და ა.შ.), ვალში ჩათვლით. ყიდვის შემდეგ ადამიანი უვადოდ გადადის მყიდველის განკარგულებაში. არასრულწლოვანის გაყიდვა გულისხმობს გარკვეულ საფასურად მის გადაცემას სხვა პირთა განკარგულებაში. არასრულწლოვანის გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს ფულის მიღებით, რაიმე ნივთში გაცვლით, ან ვალის სანაცვლოდ.[9] სხვა უკანონო გარიგება გულისხმობს არასრულწლოვანის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების განხორციელებას. არასრულწლოვანის გადაბირება გულისხმობს წაქეზებით, შეგონებით, დარწმუნებით და ა.შ. დაზარალებულისგან თანხმობის მიღებას მის ექსპლუატაციაზე. არასრულწლოვანის გადაყვანა გულისხმობს თავისი საცხოვრებელი ადგილიდან მიყვანას იმ ადგილამდე, სადაც ნავარაუდევია მისი ჩაბმა ექსპლუატაციაში. არასრულწლოვანის გადამალვა გულისხმობს დაზრალებულის ბინაში, საცავში ან სადგომში დამალვას მომავალში მისი ექსპლუატაციაში ჩაბმის მიზნით. ბუნებრივია, რომ გადამალვა მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთასაც, რაც საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. არასრულწლოვანის დაქირავება გულისხმობს მის დაქირავებას ნივთის სახით, როდესაც

[7] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), რედ., გ. ტყეშელიაძე, თბ., „მერიდიანი“, 2008, გვ. 204.

[8] იქვე, გვ. 224.

[9] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), რედ., გ. ტყეშელიაძე, თბ., „მერიდიანი“, 2008, გვ. 211.

საზღაური გადაეცემა არა თავად დაქირავებულს, არამედ მის „მესაკუთრეს“, რომელსაც იგი მონის სახით ჰყავს ნაყიდი.

არასრულწლოვანის ტრანსპორტირება გულისხმობს ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაყვანას ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით. არასრულწლოვანის გადაცემა გულისხმობს დაზარალებულის ჩაბარებას სხვა პირისთვის, თუნდაც დროებით გადამალვის ან დროებით სარგებლობის მიზნით. არასრულწლოვანის შეფარებაში იგულისხმება დაზარალებულის ხსნა რაიმე განსაცდელისგან, ხიფათისგან და მისი გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე, არასრულწლოვანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მიღება გულისხმობს სხვა პირის მიერ გადაბირებული ადამიანის მიღებას ექსპლუატაციის მიზნით[10]. კანონით გათვალისწინებული მოქმედებები ალტერნატიულია და შესაბამისად, ნებისმიერი მათგანის ჩადენის მომენტიდან საქართველოს სსკ-ის 143[2] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია.

აღნიშნული დანაშაულის გენოციდთან შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ გენოციდის შემთხვევაში ბავშვის იძულებითი გადაცემა ხორციელდება დემოგრაფიული ჯგუფის წევრთა მთლიანად ან ნაწილობრივი მოსპობის მიზნით, ხოლო არასრულწლოვანით ვაჭრობისას – მისი ექსპლუატაციის მიზნით.

თავისუფლების უკანონო აღკვეთის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატოს ადამიანის მოტაცებით. მოტაცება ნიშნავს პირის იძულებით გადაადგილებას ერთი ადგილიდან სხვა მიმართულებით. მოტაცება გულისხმობს პირზე ფიზიკური ძალადობის არამართლზომიერ დაწესებას, რაც დაკავშირებულია მისი ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვასთან. მოტაცების შემთხვევაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთა დამთავრებულად ითვლება პირის მოტაცების მომენტიდან. ბავშვების იძულებითი გადაცემა, როგორც გენოციდის შემადგენელი ნაწილი, შეიძლება განხორციელდეს მათი მოტაცების ფორმით და ობიექტური შემადგენლობის მხრივ დაემთხვეს სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ისევე როგორც არასრულწლოვანით ვაჭრობა, ფორმალური შემადგენლობის დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება. არასრულწლოვანით ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება საქართველოს სსკ-ის 143[2] მუხლის დისპოზიციაში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ქმედების ჩადენის მომენტიდან, ხოლო თავისუფლების უკანონო აღკვეთა - სხვა პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტიდან. გენოციდს შეკვეცილი შემადგენლობა აქვს. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის საკმარისია ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც მიმართულია დემოგრაფიული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობისკენ. ამასთან, გენოციდის ფარგლებში ადამიანის მოტაცება და არასრულწლოვანით ვაჭრობა მხოლოდ დემოგრაფიული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივი მოსპობის მიღწევის საშუალებებია.

განსახილველ სამივე დანაშაულში ქმედების სუბიექტური შემადგენლობა ერთმანეთს ემთხვევა და პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. აღნიშნული შემადგენლობები განსაკუთრებით განსხვავდება ერთმანეთისგან დანაშაულის მიზნით. გენოციდის მიზანზე წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ იყო აღნიშნული – მოსახლეობის განსაზღვრული დემოგრაფიული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივი მოსპობა. საქართველოს სსკ-ის 143[2] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს პრინციპულად სხვა მიზანი აქვს – არასრულწლოვანის ექსპლუატაცია, რომელიც საქართველოს სსკ-ის 143[1] მუხლით შენიშვნის თანახმად, გულისხმობს პირის მიერ არასრულწლოვანის გამოყენებას იძულებით შრომაში ან მომსახურებაში, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, აგრეთვე, მის ჩაბმას პროსტიტუციაში, სექსუალურ ექსპლუატაციაში ან სხვა სახის მომსახურების გაწევაში და ა.შ. არასრულწლოვანით ვაჭრობისას დამნაშავეს არ გააჩნია არც დემოგრაფიული ჯგუფის და არც ცალკეული ადამიანის მოსპობის მიზანი. პირიქით, დამნაშავე ცდილობს დაზარალებულის შრომა გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისთვის. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლში მიზანი, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი, საერთოდ არ არის მითითებული. გენოციდისგან განსხ-

[10] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), რედ., გ. ტყეშელიაძე, თბ., „მერიდიანი“, 2008, გვ. 211-217.

ვავებით, სადაც დამნაშავე მიზნად ისახავს, ზიანი მიაყენოს მთელ დემოგრაფიულ ჯგუფს, თავისუფლების უკანონო აღკვეთისას მიზანს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მიზნით, თუმცა ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტული პირის ინტერესების დარღვევასთან.

ცალკეულ შემთხვევაში, აუცილებელია გენოციდის გამიჯვნა გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებისგან. ამ დანაშაულთა ობიექტია პირის სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა. სქესობრივი თავისუფლება ნიშნავს პირის უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ვისთან და როგორ დაიკმაყოფილოს თავისი სექსუალური სურვილები. სქესობრივი თავისუფლების დასაშვებობის კრიტერიუმები და საზღვრები დგინდება იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც განხორციელებულია სექსუალური მოქმედებები. სქესობრივი ხელშეუხებლობა გულისხმობს კანონით დადგენილ შემთხვევებში ნებისმიერი სექსუალური მოქმედების განხორციელების აკრძალვას პიროვნების წინააღმდეგ. ძალადობის გამოყენების შემთხვევაში გაუპატიურების, ისევე როგორც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების დამატებითი ობიექტია დაზარალებულის ჯანმრთელობა[11]. ობიექტური შემადგენლობით გაუპატიურება შეიძლება გამოიხატოს: სქესობრივი კავშირის დაჭერაში ძალადობით, სქესობრივი კავშირის დაჭერაში დაზარალებულის ან სხვა პირების მიმართ ძალადობის მუქარით, სქესობრივი კავშირის დაჭერაში დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებად განსაზღვრულია მამათმავლობა, ლესბოსელობა და ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, დაზარალებულის ან სხვა პირების მიმართ ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. აღნიშნული დანაშაულების ჩადენისას ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებაში, აგრეთვე თავისუფლების შეზღუდვაში. ძალადობის გამოყენების მუქარა შეიძლება გამოიხატოს მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, სხვა პირის გაუპატიურების, სასიცოცხლო მნიშვნელობის ქონების დაუყონებლივ განადგურების მუქარაში ან სხვა ისეთი მოქმედებების ჩადენაში, რომლებიც მოწმობენ ფიზიკური ძალადობის განხორციელების განზრახვას. ძალადობის მუქარა შეიძლება მიმართული იყოს როგორც დაზარალებულისკენ, ასევე სხვა პირებისკენაც (მაგალითად, დაზარალებულის ახლობლების მიმართ). დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, როდესაც პირს თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო (ჭკუასუსტობა ან სხვა ფსიქიკური აშლილობა, ფიზიკური ნაკლი, სხვა ავადმყოფური ან უგონო მდგომარეობა, მცირეწლოვნობა ან ხანდაზმულობა და ა.შ) არ შესწევს უნარი შეიმეცნოს მის მიმართ ჩადენილი ქმედებების ხასიათი და მნიშვნელობა ან არ შესწევს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს (ავადმყოფი, ღრმად მოხუცი, ფიზიკური ნაკლის მქონე პირი და სხვა). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულმა თვითონ ჩაიგდო თავი ასეთ მდგომარეობაში, თუ დამნაშავემ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე[12]. სუბიექტური შემადგენლობით აღნიშნული დანაშაულები ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

გენოციდის ფარგლებში დამნაშავეს შეუძლია როგორც გაუპატიურების, ასევე სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ჩადენა. საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების მიერ არაერთხელ განიხილებოდა საკითხი იმის თაობაზე, შედის თუ არა აღნიშნული ქმედებები გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში. Prosecutor v. J.-P. Akayesu საქმეში მითითებული იყო, რომ თუ გაუპატიურებას განვიხილავთ როგორც ადამიანთა ჯგუფის მოსპობის მეთოდს, მათთვის მძიმე ფიზიკური ან სულიერი ზიანის მიყენების გზით, მაშინ იგი ასევე შეიძლება მივაკუთნოთ გენოციდს. გარდა ამისა, გაუპატიურება შეიძლება განიხილებოდეს როგორც ქმედება, რომელიც ხელს უშლის შობადობას ჯგუფის შიგნით.[13] Prosecutor v. Kayshema and Ruzindana საქმეში აღნიშნული იყო, რომ სექსუალური ძალადობის, ცემის აქტები და დაკითხვები, რომლებსაც თან ახლდა ცემა ან სიკვდილის მიყენების მუქარა სხეულის სერიოზულ დაზიანებებს განეკუთვნება.[14]

ამრიგად, გენოციდი გაუპატიურებასა და სე-

[11] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), რედ., გ. ტყეშელიაძე, თბ., „მერიდიანი“, 2008, გვ. 162.

[12] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), რედ., გ. ტყეშელიაძე, თბ., „მერიდიანი“, 2008, გვ. 164-165.

[13] Indictment Prosecutor v. J.-P. Akayesu
URL: http://www.ictr.org.wwwroot/ENGLISH/cases/Akayesu/indictment/actamond.htm
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 21.03.2011).

[14] Prosecutor v. Kayshema and Ruzindana. Case № ICTR-95-1. 1 May 1999. §106-113.
URL: http://69.94.11.53/ENGLISH/cases/Kay Rus/jadjment/4.htm
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.04.2011).

ქსუალური ხასიათის სხვა მოქმედებას მოიცავს, თუ ის მიმართულია დემოგრაფიული ჯგუფის მოსასპობად, ასეთი ჯგუფის წევრთა ფიზიკური და ფსიქიკური ზიანის მიყენებით, ანდა მიმართულია ქალების იძულების მიზნით, გააჩინონ ბავშვები მოსახლეობის იმ ჯგუფისთვის დამახასიათებელი ნიშნების გარეშე, რომლის მიმართაც ხორციელდება გენოციდი. სხვა შემთხვევებში (როდესაც გაუპატიურება და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება ხორციელდებოდა არა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივი მოსპობის, არამედ დამნაშავის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით) ჩადენილი ქმედება არ განეკუთვნება გენოციდს და ექვემდებარება კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლების მიხედვით.

გენოციდს გარკვეული მსგავსება აქვს საქართველოს სსკ-ის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 142^1 (რასობრივი დისკრიმინაცია) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებებთან. უპირველეს ყოვლისა, წინა შემადგენლობების მსგავსად, განსახილველი დანაშაულები გენოციდისგან განსხვავდება ობიექტით. განსახილველი დანაშაულების გვარეობითი ობიექტია ადამიანი, ხოლო სახეობითი ობიექტი – ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს სსკ-ის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია საქართველოს კონსტიტუციითა (მე-14 მუხლი) და საერთაშორისო კონვენციებით განმტკიცებული ადამიანის თავისუფლება და თანასწორობა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 142^1 (რასობრივი დისკრიმინაცია) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გარანტირებული სხვადასხვა ერისა და რასის წარმომადგენელთა თავისუფლება და თანასწორობა, აგრეთვე, სხვადასხვა კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის წარმომადგენელთა თანასწორობა.[15]

გენოციდის დანაშაულში დაზარალებულად გვევლინება ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრები. საქართველოს სსკ-ის 142-ე მუხლის დისპოზიციაში აღწერილია ნიშნების ფართო წრე, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს დაზარალებულს. მასში ჩართულია, მაგალითად, სოციალური ნიშნები (ქონებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, წარმოშობა, რომელიმე სოციალური წოდების ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილება, აღმსარებლობა), დემოგრაფიული ნიშნები (სქესი) და სხვა. საქართველოს სსკ-ის 142^1 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულს ასევე შეიძლება ახასიათებდეს სოციალური ნიშნები (სოციალური კუთვნილება).

საქართველოს სსკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევაში, რასაც ადგილი აქვს არა ნებისმიერი ადამიანის, არამედ კანონით გათვალისწინებული ნიშნით განსხვავებული პირის მიმართ. თანასწორუფლებიანობის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაში ან უმოქმედობაში, რაც აუცილებელად უნდა იწვევდეს დაზარალებულისთვის განსაზღვრული იურიდიული შედეგის (ადამიანის უფლებების არსებითი ხელყოფა) დადგომას.

სუბიექტური შემადგენლობით განსახილველი დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. მისი მოტივი, კანონით გათვალისწინებული ნიშნების გამო, პირისადმი სიძულვილს ან მტრობას უკავშირდება.

საქართველოს სსკ-ის 142^1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება რასობრივ დისკრიმინაციაში, რაც შეიძლება გამოიხატოს:

- ისეთ ქმედებაში, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით;
- ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვაში;
- ადამიანისათვის უპირატესობის დაწესებაში, რასის კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით.

სუბიექტური შემადგენლობით განსახილველი დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დანაშაულის სავალდებულო ნიშა-

[15] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), რედ., გ. ტყეშელიაძე, თბ., „მერიდიანი“, 2008 წ., გვ. 190-194.

ნია მიზანი - ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდება ანდა ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ რასობრივი დისკრიმინაციისგან განსხვავებით, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისას დაზარალებულთა წრე გაცილებით ფართოა. ამასთან, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისაგან განსხვავებით ქმედების რასობრივი დისკრიმინაციით კვალიფიკაციისას ცალკეულ შემთხვევებში მიზანს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რასობრივი დისკრიმინაცია ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია, ხოლო ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა – მატერიალური[16].

რა თქმა უნდა, გენოციდის ფარგლებში გარდაუვლად ირღვევა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრთა უფლებები და თავისუფლებები, მათთვის დამახასიათებელი ნიშნების გამო ხორციელდება მათი დისკრიმინაცია, თუმცა გენოციდის დანაშაულის ჩადენისას დამნაშავე გარკვეული მიზნით მოქმედებს – მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპოს მოსახლეობის დემოგრაფიული ჯგუფი. დამნაშავე არღვევს თანასწორუფლებიანობას, ისევე, როგორც რასობრივ დისკრიმინაციას და, რა თქმა უნდა, ამით მიისწრაფის, შებღალოს დაზარალებულთა უფლებები, შეუქმნას მათ ცხოვრების მძიმე პირობები, განახორციელოს სეგრეგაცია, მაგრამ მისი მოქმედებები არ იწვევს და არც შეუძლია გამოიწვიოს მოსახლეობის იმ ჯგუფის განადგურება, რომელსაც განეკუთვნება დაზარალებული. თავად დამნაშავეს არ გააჩნია ასეთი განადგურების მიზანი.

ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ დანაშაულს, რომელიც გენოციდის ზოგიერთ ფორმას ჰგავს, განეკუთვნება ბავშვის შეცვლა (საქართველოს სსკ-ის 174-ე მუხლი). განსახილველი შემადგენლობის სისხლისსამართლებრივი დაცვის სახეობითი ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის ნორმალურ განვითარებასა და აღზრდას. დანაშაულის უშუალო ობიექტია ბავშვის თავისუფლება, აგრეთვე, მისი მშობლის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ობიექტური შემადგენლობით ბავშვის შეცვლა გამოიხატება ერთი ბავშვის მეორეთი შეცვლაში. დანაშაული დამთავრებულად ითვლება ბავშვის შეცვლის მომენტიდან.

სუბიექტური შემადგენლობით განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, აგრეთვე, ანგარებისა და სხვა ქვენა გრძნობის მოტივით. ანგარების მოტივი გულისხმობს დამნაშავის მისწრაფებას მიიღოს რაიმე სახის მატერიალური სარგებელი (განსაზღვრული თანხის ჩარიცხვა დამნაშავის ანგარიშზე, მისი ინტერესებისთვის მატერიალური ხასიათის რაიმე მოქმედების განხორციელება და ა.შ.), ან თავი აარიდოს მატერიალურ დანახარჯების გადახდას. სხვა ქვენაგრძნობას განეკუთვნება შურისძიება, შური, აგრეთვე, სასამართლოს მიერ ასეთად მიჩნეული სხვა გრძნობები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მორალისა და ზნეობის მოთხოვნებს.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას გარკვეული მსგავსება აქვს გენოციდის დანაშაულთან, რომელიც ჩადენილია ბავშვის იძულებითი გადაცემის ფორმით. ასეთი გადაცემის განხორციელებისას ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის ერთი დემოგრაფიული ჯგუფის ბავშვების სხვა დემოგრაფიული ჯგუფის ბავშვებით შეცვლას. შეცვლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამ დანაშაულით ირღვევა ახლონათესაური კავშირები, ირღვევა ღრმაზნეობრივი ზოგადსაკაცობრიო შინაარსით გამსჭვალული მშობლებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობები, ფალსიფიცირდება ადამიანის წარმომავლობა, მშობლები და თვითონ ბავშვი შეცდომაში არიან შეყვანილი მათ წარმომავლობასთან დაკავშირებით; მახინჯდება ოჯახის რეალური მდგომარეობა.[17] ბავშვის შეცვლის შემადგენლობა, გენოციდისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს სპეციალურ მიზანს. საქართველოს სსკ-ის 174-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას დამნაშავე ახორციელებს თავის მოქმედებას კონკრეტული, ინდივიდუალური ბავშვის მიმართ. ამასთან, დამნაშავე არ ითვალისწინებს ბავშვის კუთვნილებას გარკვეული ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა ჯგუფისადმი. რა თქმა უნდა, ბავშვის შეცვლა შეიძლება განხორციელდეს რასობრივი მტრობის მოტივითაც, თუმცა ამ შემთხვევაში, დამნაშავე არ ცდილობს ასეთი შეცვლის გზით მოსპოს მოსახ-

[16] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), რედ., გ. ტყეშელიაძე, თბ., „მერიდიანი“, 2008 წ., გვ. 190-198.

[17] Уголовное право Российской Федерации. Особенная часть: Учебник. Издание второе исправленное и дополнено / Под редакцией Л.В. Иногамовой-Хегай, А.И. Рарога, А.И. Чучаева. М.: Юридическая фирма: `КОНТРАКТ~, ИНФРА-М, 2008. ст. 170.

ლეობის ის დემოგრაფიული ჯგუფი, რომელსაც ეს ბავშვი დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებში და ემსახურება მეორე დანაშაულის მიზნის მიღწევას, მაშინ ნორმათა ერთობლიობის მიხედვით კვალიფიკაცია საჭირო არ არის და ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას რთული დანაშაულისთვის. მიგვაჩნია, რომ გენოციდის შესახებ არსებული ნორმა სპეციალურია საქართველოს სსკ-ის 109-ე, 117-ე, 137-ე, 138-ე, 142-ე, 142^1, 143-ე, 143^2 და 174-ე მუხლებით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებთან მიმართებით. შესაბამისად, გენოციდის ფარგლებში ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებების ჩადენის შემთხვევაში, ქმედებას მთლიანად მოიცავს საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლი და დამატებითი კვალიფიკაცია სხვა მუხლების საჭირო არ არის. აღნიშნულ არგუმენტს ამყარებს ის გარემოებაც, რომ განხილულ დანაშაულთა შემადგენლობების ძირითადი ობიექტი გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში დამატებითი ობიექტის სახით გვევლინება. კერძოდ, ეს არის ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის (საქართველოს სსკ-ის 109-ე და 117-ე მუხლები), ადამიანის თავისუფლების (საქართველოს სსკ-ის 143-ე და 143^2), სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის (საქართველოს სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლები), ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თანასწორობის (საქართველოს სსკ-ის 142-ე და 142^1 მუხლები), ოჯახისა და არასრულწლოვანის (საქართველოს სსკ-ის 174-ე მუხლი) დაცვას განეკუთვნება. გარდა ამისა, ბავშვის შეცვლისას დამნაშავე მოქმედებს ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით, რაც გენოციდის სავალდებულო ნიშანს არ წარმოადგენს. გენოციდის დანაშაულის ჩადენისას ბავშვის შეცვლა ხორციელდება მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის მოსპობის მიზნით.

გენოციდისა და ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობათა განხილვისას დგება საკითხი: თუ გენოციდის ჩადენისას განხორციელებული ქმედება ემთხვევა საქართველოს სსკ-ის ზემოთ განხილული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობის ნიშნებს, საჭიროა თუ არა აღნიშნული მუხლებით დამნაშავის ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია. ჩვენი აზრით, თუ პირის ერთი დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდება სხვა დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებში და ემსახურება მეორე დანაშაულის მიზნის მიღწევას, მაშინ ნორმათა ერთობლიობის მიხედვით კვალიფიკაცია საჭირო არ არის და ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას რთული დანაშაულისთვის. მიგვაჩნია, რომ გენოციდის შესახებ არსებული ნორმა სპეციალურია საქართველოს სსკ-ის 109-ე, 117-ე, 137-ე, 138-ე, 142-ე, 142^1, 143-ე, 143^2 და 174-ე მუხლებით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებთან მიმართებით. შესაბამისად, გენოციდის ფარგლებში ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებების ჩადენის შემთხვევაში, ქმედებას მთლიანად მოიცავს საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლი და დამატებითი კვალიფიკაცია სხვა მუხლების საჭირო არ არის. აღნიშნულ არგუმენტს ამყარებს ის გარემოებაც, რომ განხილულ დანაშაულთა შემადგენლობების ძირითადი ობიექტი გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში დამატებითი ობიექტის სახით გვევლინება. კერძოდ, ეს არის ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის (საქართველოს სსკ-ის 109-ე და 117-ე მუხლები), ადამიანის თავისუფლების (საქართველოს სსკ-ის 143-ე და 143^2), სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის (საქართველოს სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლები), ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თანასწორობის (საქართველოს სსკ-ის 142-ე და 142^1 მუხლები), ოჯახისა და არასრულწლოვანის (საქართველოს სსკ-ის 174-ე მუხლი) დაცვას.

DIFFERENTIATION OF GENOCIDE FROM CRIMES DIRECTED AGAINST HUMAN

KONSTANTINE DOKHNADZE - PhD of GTU

Corpus delicti (components of crime) of genocide is considered under the 14th Chapter of the Criminal Code of Georgia "Crimes against humankind". The crime, directed against humanity implies those components of crime, which infringe not only the interests of each individual person, but also peaceful co-existence of whole nations and safety of certain groups of population. Crimes directed against humankind can do an irreparable damage to the existence of mankind and of its significant part on earth. Genocide crime, beyond any doubt, ranges among international crimes.

The large variety of actions having components of crime similar to genocide, is indicated in the Criminal Code of Georgia. Among those crimes are intentional homicide ("d" sub-paragraph of the 2nd part of 109th Article of CC of Georgia), heavy damage done intentionally ("d" sub-paragraph of the 5th part of 117th Article of CC of Georgia), illegal deprivation of freedom (143rd Article of CC of Georgia), under-age trafficking (143^2 Article of CC of Georgia), sexual assault (abuse) (137th Article of CC of Georgia), violent act of sexual nature (138th Article of CC of Georgia), violation of humans' legal equality (142nd Article of CC of Georgia), race discrimination (142^1 Article of CC of Georgia), substitution of child (174th Article of CC of Georgia).

The presented paper is devoted to the characteristics of those objective and subjective aspects of genocide that differentiate it from crimes with similar components.

Genocide crime differentiates from other crimes with the similar components by the following characteristics:

- special direct object – public relations that provide safe conditions of national, ethnic, racial, religious or other groups united according to some features,
- clearly defined victim – representatives of national, ethnic, racial, religious or other groups united according to some features;
- unity of alternatively considered actions that is the objective component of crime,
- binding target – complete or partial annihilation of some national, ethnic, racial, religious or other groups united according to some characteristics

The latter, in our opinion, is the very specific feature that is distinguishing only for this component of crime.

ОТГРАНИЧЕНИЕ ГЕНОЦИДА ОТ ПРЕСТУПЛЕНИИ ПРОТИВ ЛИЧНОСТИ

КОНСТАНТИН ДОХНАДЗЕ - докторант ГТУ

Состав преступления геноцида предусмотрен 14-й статьей УК Грузии «Преступление против человечества». Преступление, направленное против человечества, содержит такие составы преступления, которые посягают не только на интересы отдельных лиц, но и на мирное сосуществование целых народов и безопасность отдельных групп населения. Преступления, направленные против человечества могут нанести непоправимый ущерб существованию человечества или его значительной части на земле. Преступление геноцида бесспорно относится к числу международных преступлений.

В Уголовном Кодексе Грузии отражен целый ряд действий, которые имеют схожий с геноцидом состав преступления. К числу таких преступлений относятся умышленное убийство («д» подпункт 2-й части 109-й статьи УК Грузии), умышленно нанесенный тяжелый ущерб здоровью («д» подпункт 5-й части 117-й статьи УК Грузии), незаконное лишение свободы (143-я статья УК Грузии), торговля несовершеннолетними (143^2-я статья УК Грузии), изнасилование (137-я статья УК Грузии), насильственное действие сексуального характера (138-я статья УК Грузии), нарушение равноправия людей (142-я статья УК Грузии), расовая дискриминация (142^1-я статья УК Грузии), подмена ребенка (174-я статья УК Грузии).

Настоящая статья посвящена характеристике тех объективных и субъективных признаков геноцида, которые разграничивают его от состава схожих преступлений.

Преступление геноцида отличается от других преступлений со схожим составом следующими признаками:

- особый непосредственный объект – общественные отношения, которые обеспе-чивают безопасные условия существования национальной, этнической, расовой, религиозной или другой группы, объединенной по какому-то иному признаку,
- четко определенный пострадавший – представители национальной, этнической, расовой, религиозной или другой группы, объединенной по какому-то иному признаку,
- совокупность альтернативно предусмотренных действий, что составляет объективный состав преступления,
- обязательная цель преступления – полное или частичное уничтожение какой-либо национальной, этнической, расовой, религиозной или другой группы, объединенной по какому-то иному признаку.

Последнее, по нашему мнению, представляет собой самый специфический признак, который характерен только для этого состава преступления.